

ISUZU-ს ახალი ავტობუსები რამდენიმე მარშრუტზე ძველ ავტობუსებს ჩაანაცვლებენ



თბილისში ISUZU-ს მარკის 8 - მეტრიანი, დიზელის ძრავზე მომუშავე, euro 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსები შემოვიდა. თბილისის მერიის ინფორმაციით, ძველი ავტობუსების ახალი ავტობუსებით ჩაანაცვლება უახლოეს დღეებში დაიწყება

და წლის ბოლომდე დასრულდება.

უკვე ცნობილია მარშრუტები, რომლებზეც ISUZU-ს მარკის 36 ერთეული ავტობუსი გადანაწილდება: 12 ძველი „ბოგდანი“, პირველად, წყნეთი – სადგურის მოედნის N34 მარშრუტზე ჩაანაცვლდება. რამდენიმე დღის ინტერვალით კი ახალი ავტობუსები შემდეგ მარშრუტებზე გავლენ: N28 – სვანეთის უბანი – მარჯანიშვილის მოედანი – 4 ერთეული; N42 – იყართოს გორა – ბარათაშვილის ქუჩა – 4 ერთეული; N56 – ორხევი – მეტროსადგური „ისანი“ – 5 ერთეული; N66 – სადგურის მოედანი – შატბერაშვილის ქუჩა (ბემო ვაკე) – 3 ერთეული; N78 – სადგურის მოედანი – ჯაფარიძის ქუჩა (ბემო ვერა) – 4 ერთეული; N108 – სოფელი გრდანი – მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ – 4 ერთეული.

220 ერთეული ISUZU-ს მარკის ავტობუსი, რომელიც 53 მგზავრზეა გათვლილი, აქვს 21 დასაჯდომი ადგილი და სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, მუნიციპალური ავტოპარკის განახლების მიზნით, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ შეისყიდა.

ავტობუსში განთავსებულია როგორც wifi მოდემი, რომელიც

უმრუნველყოფს მთლიანი ავტობუსის wifi-ს სიგნალით დაფარვას, ასევე თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიციონერისა და ვენტილაციის საინფორმაციო ხმოვანი სისტემები. ავტობუსის საღონში დამონტაჟებულია ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემა და usb-დამტენები. პროექტის მთლიანი ღირებულება 64 790 000 ლარს შეადგენს